



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი | პოლიტიკის დოკუმენტი #5

ადრიანა სტეფანი

ულტრამემარჯვენე  
პოპულისტური მოძრაობები:  
ახალი გამოწვევა  
საქართველოსთვის

ოქტომბერი 2018

## შინაარსი

ევროპაში ულტრამემარჯვენე მოძრაობების მომძლავრებასთან ერთად, საქართველოშიც გააქტიურდნენ მსგავსი პოლიტიკური ძალები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ მარგინალურ ძალად აღიქმებიან, ულტრამემარჯვენე მოძრაობების მზარდი წარმატება საფრთხეს უქმნის, როგორც საქართველოს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისაკენ სწრაფვას, ისე ქვეყნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ულტრამემარჯვენე ჯგუფები ანტიდასავლურ სენტიმენტებს აღვივებენ და ქსენოფობიური, რასისტული და ნაციონალისტური რიტორიკის გამოყენებით, უცხოელებს ქართულ მართლმადიდებლობასა და ქართულ იდენტობასთან ფუნდამენტურად შეუთავსებელ სუბიექტებად წარმოაჩენენ. პოლარიზებულ მედია გარემოში, სადაც ეს ფენომენი არასწორად შუქდება, როგორც საზოგადოებისთვის, ისე მთავრობისთვის რთულია იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება პრობლემასთან გამკლავება. ამასთან, რადგან ბევრი ულტრამემარჯვენე ჯგუფი მხოლოდ სოციალურ მედიაში ოპერირებს, მთავრობისთვის რთულდება მსგავსი საკითხების მოგვარება. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი იკვლევს ულტრამემარჯვენე მოძრაობების საკითხებს, აანალიზებს, სამ ყველაზე ცნობილ ულტრამემარჯვენე აქტორს, მათ მხარდამჭერებს და მთავარ მესიჯებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს, რომელთა საშუალებითაც საქართველოში დაწყებული ულტრამემარჯვენე მოძრაობის ტალღის შეჩერება იქნება შესაძლებელი.

## საქართველო ფართო კონტექსტში

საქართველოში ულტრამემარჯვენე მოძრაობები ნელ-ნელა იკრებენ ძალას, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც ვეგანურ კაფეზე თავდასხმის ინციდენტი იყო. მსგავსი შემთხვევები საფრთხეს უქმნის საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს და დიდ ტვირთად აწვება განვითარების პროცესში მყოფ დემოკრატიას. საქართველოში ულტრამემარჯვენე მოძრაობების გააქტიურება ხდება იმ პირობებში, როდესაც დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში უპრეცედენტოდ გაძლიერდა ულტრამემარჯვენე რიტორიკა<sup>2</sup>. საქართველოში ულტრამემარჯვენე ძალების მომძლავრება დემოკრატიის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის კლების კონტექსტში მოხდა. 2012-2015 წლებში, დემოკრატიის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერა 68%-დან 47%-მდე შემცირდა<sup>3</sup>. იზრდება უნდობლობა

<sup>1</sup> ადრიანა სტეფანი მსოფლიოს სამართლის პროექტის მკვლევარია

<sup>2</sup> დემოკრატიული ქვეყნები, სადაც გაძლიერდნენ ულტრამემარჯვენე მოძრაობები: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია და ნიდერლანდების სამეფო.

<sup>3</sup> “Trends in the Data: Public support for democracy is slowly waning in Georgia (Part 2).” *Social Science in the Caucasus* (blog).

8 აგვისტო, 2016. ხელმისაწვდომია - <http://crrc-caucasus.blogspot.com/2016/08/trends-in-data-public-support-for.html>

სახელმწიფო ინსტიტუტების, ბიზნესებისა და რელიგიური ინსტიტუტების მიმართაც<sup>4</sup>. ამასთან, საზოგადოება პესიმისტურადაა განწყობილი ქვეყნის საშინაო პოლიტიკისადმი და ექვის თვალთ უყურებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობას<sup>5</sup>. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა (CRRC) და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2017 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართველები უფრო მეტად ენდობიან იმ მედია საშუალებებს, რომლებიც მათ პოლიტიკურ შეხედულებებს ემთხვევა<sup>7</sup>. პოლარიზებულ მედია გარემოში<sup>8</sup>, სადაც თანდათან იკლებს საზოგადოების ნდობა დემოკრატიისადმი, ხოლო ძლიერდება ულტრამემარჯვენე მოძრაობების მხარდამჭერი რუსული პროპაგანდა, ულტრამემარჯვენე აქტორებისთვის ხელსაყრელი ნიადაგი იქმნება საზოგადოებრივი უკმაყოფილების საკუთარი ინტერესებისთვის გამოსაყენებლად, რაც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში უკვე დაფიქსირდა.

2018 წლის მარტში, თბილისში გამართულმა აქციებმა ნათელი მოჰფინა ულტრამემარჯვენე მოძრაობებთან დაკავშირებული პრობლემას. ორ პოპულარულ ღამის კლუბში, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული რეიდები, თბილისში კლუბური ცხოვრებისა და პროგრესული საზოგადოებრივი მოძრაობების მხარდამჭერი ხალხმრავალი აქციების და მათი მოწინააღმდეგე ულტრამემარჯვენე მოძრაობების მიერ ორგანიზებული კონტრაქციების საფუძველი გახდა. პოლიციამ ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების მხრიდან კლუბური ცხოვრების მხარდამჭერ აქციის მონაწილეებზე ძალადობის შეჩერება მოახერხა. თუმცა, თბილისში გამართული აქციები ისეთი მედია საშუალებების ყურადღების ქვეშ მოეცა, როგორცაა რადიო თავისუფალი ევროპა<sup>9</sup> და BBC<sup>10</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს ულტრამემარჯვენე მოძრაობების გაძლიერების რისკი, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რასისტული და ეთნიკური ექსტრემიზმი საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფენომენი არაა და ულტრამემარჯვენე ჯგუფებს საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერა არ აქვთ. საქართველოში არსებულ

<sup>4</sup>“Changes in public opinion between 2011 and 2017.” *Social Science in the Caucasus* (blog). 10 აპრილი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://crcc-caucasus.blogspot.com/2018/04/changes-in-public-opinion-between-2011.html>

<sup>5</sup> გამოკითხვის შეკითხვაზე „შეაფასეთ თქვენი ნდობა ევროკავშირის მიმართ“, 2008 წელს რესპოდენტების 54%-მა, ხოლო 2017 წელს 33%-მა უპასუხა, რომ ისინი ენდობოდნენ ევროკავშირს

<sup>6</sup> იგივე.

<sup>7</sup> “Polarisation in Georgia’s media landscape.” *Open Caucasus Media*. 5 მარტი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://oc-media.org/analysis-polarisation-in-georgias-media-landscape/>.

<sup>8</sup> ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, 2016 წლის საპარლამენტო და 2017 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე, ტელევიზია იმედმა უფრო მეტი დრო დაუთმო და უფრო პოზიტიურად გააშუქა მმართველი ქართული ოცნების პარტია, ხოლო უარყოფითად გააშუქა ოპოზიციური პარტია - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. რუსთავი ორმა კი უფრო დიდი დრო დაუთმო და უფრო პოზიტიურად ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ხოლო უარყოფითად ქართული ოცნება გააშუქა. CRRC-სა და NDI-ს გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მათ, ვინც ქართული ოცნება თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებთან უფრო ახლოს მდგარ პარტიადა დასახელეს, საქართველოში პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენების ობიექტურად გაშუქების მხრივ ტელეკომპანია იმედს ენდობოდნენ. ხოლო, ისინი, ვინც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკას ემხრობოდა, ყველაზე სანდო ინფორმაციის წყაროდ რუსთავი 2-ს ასახელებდნენ.

<sup>9</sup> ხელმისაწვდომია - <https://www.rferl.org/a/georgia-far-right-against-club-goers/29224427.html>

<sup>10</sup> ხელმისაწვდომია - <https://www.bbc.com/news/av/world-europe-44999599/georgia-s-rave-revolution>



ულტრამემარჯვენე დისკურსს ნაწილობრივ განაპირობებს ქვეყნის წარმატება ისეთი დემოკრატიული ნორმების დანერგვის მიმართულებით, როგორცაა პლურალისტური და თავისუფალი მედია და სიტყვის თავისუფლება. ეს კი, ცხადია, საქართველოს ღია დებატებისა და საზოგადოებრივი დიალოგისკენ უბიძგებს. თუმცა, რეალობა ისაა, რომ ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების რეალიზებისთვის, საქართველო უნდა წარმოიჩინდეს, როგორც ინკლუზიური და პლურალისტური ქვეყანა. ქართულ პოლიტიკაში მზარდი დაპირისპირებების შედეგად ყურადღების ქვეშ ნაკლებად ექცევა ისეთი სკიტხები, როგორცაა დემოკრატიის მხარდაჭერის, კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის მიმართულებით განსახორციელებელი რეფორმები. ადამიანის უფლებების დაცვა და ანტიდისკრიმინაციული კანონის წარმატებით განხორციელება, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით იყო გათვალისწინებული, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება იმ ფონზე, როდესაც ძლიერდებიან ქსენოფობიური და არსებითად არადემოკრატიული მოძრაობები. თუკი საქართველო განაგრძობს ევროკავშირთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებას, საქართველოს მთავრობამ არ უნდა დაუშვას ულტრამემარჯვენე მოძრაობების გაძლიერება და პრევენციული ზომები უნდა მიიღოს ამ ჯგუფების წინააღმდეგ.

## რომელი ჯგუფები წარმოადგენენ ულტრამემარჯვენე მოძრაობებს საქართველოში?

საქართველოში რამდენიმე ულტრამემარჯვენე მოძრაობაა, დაწყებული ნეოფაშისტებიდან და დამთავრებული ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური მოთამაშეებით. არსებობს ათეულობით არაფორმალური ჯგუფი ფეისბუქზე, ხოლო ნაწილი დარეგისტრირებულია, როგორც პოლიტიკური პარტია ან არასამთავრობო ორგანიზაცია<sup>11</sup>. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის შეზღუდული მოცულობიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდება მხოლოდ იმ ულტრამემარჯვენე ჯგუფებზე, რომლებიც ბოლო თვეების განმავლობაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოთამაშეებად იქცნენ. მათ შორის არიან საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ქართული მარში და საქართველოს ეროვნული ერთობა. რთი მაკრიდის თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების მიხედვით, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში ულტრამემარჯვენე იდეოლოგია განმარტებულია როგორც იდეოლოგია, რომელიც აერთიანებს რასიზმს, ქსენოფობიას და ნაციონალიზმს<sup>12</sup>. ზემოთ წარმოდგენილი თითოეული ჯგუფი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ნაციონალისტური ჯგუფი, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებენ პატრიოტიზმსა და ტრადიციული ქართული ღირებულებების ერთგულებაზე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კონტექსტში და იყენებენ ქსენოფობიურ და რასისტულ რიტორიკას მიგრანტებისა და უცხოელების წინააღმდეგ. თუმცა ქვემოთ განხილულ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიცაა. თუკი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი პოლიტიკური ძალაუფლების

<sup>11</sup> Lomsadze, Giorgi. “Georgian fascists step into the spotlight.” *EurasiaNet*. 25 მაისი, 2018. ხელმისაწვდომია - <https://eurasianet.org/s/georgian-fascists-step-into-the-spotlight>

<sup>12</sup> Macridis, Roy C. *Contemporary Political Ideologies: Movements and Regimes*, 4th ed. Glenview: Scott, Foresman and Co., 1989, გვ. 231



მოპოვებას პოპულისტური რიტორიკით ცდილობს, როგორც ქართული მარში, ისე საქართველოს ეროვნული ერთობას, დროდადრო აქვთ მიდრეკილება ძალადობრივი და აგრესიული ქმედებებისკენ.

### **საქართველოს პატრიოტთა ალიანსი**

2012 წელს დავით თარხან-მოურავისა და ირმა ინაშვილის მიერ დაარსებული პარტია - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ულტრამემარჯვენე მოძრაობის ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ელემენტი და ერთადერთი პარტია გახდა. ის განასახიერებს იმ პოპულისტურ საფრთხეს, რომელმაც დასავლურ დემოკრატიებს ქარიშხალივით გადაუარა. პარტიის ვებ-გვერდი ხშირად მიმართავს ხალხს ისეთი განცხადებებით, როგორცაა „ქართველმა ხალხმა უნდა მართოს საქართველო“. პატრიოტთა ალიანსი კონსერვატორულ იდეოლოგიაზე დგას, მათი პოლიტიკური პლატფორმა კი ეროვნული სულისკვეთების დაცვას, კერძოდ კი „სამშობლოსადმი თავდადებას, რწმენისადმი ერთგულებას, ყოველივე ქართულის სიყვარულსა და ენის პატივისცემას“<sup>13</sup> გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკა იმიგრანტებს ღიად არ ებრძვის, პარტია ცნობილია ქსენოფობიური რიტორიკით, განსაკუთრებით კი ანტი-თურქული სენტიმენტებით. პატრიოტთა ალიანსის წევრები 2017 წლის ზაფხულში ესწრებოდნენ ქართველთა მარშს და თავდებად დაუდგნენ ქართული მარშის დაკავებულ აქტივისტებს 2018 წლის მარტში.

პარტიის პლატფორმა ფორმალურად მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ მისწრაფებებს, მაგრამ ამომრჩევებს საქართველოს ნატოში გაწევრიანების რეალურ შეფასებასა და რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სთავაზობს. პარტია ხშირად მოიხსენიება როგორც პრო-რუსული ძალა<sup>14</sup>, რომელიც განსაკუთრებით მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა მიმდინარე წლის მაისში, მოსკოვში მესამედ განხორციელებულ ვიზიტის გამო<sup>15</sup>. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები პარტიისთვის პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რომლითაც პატრიოტთა ალიანსმა პარლამენტში ექვსი ადგილი მოიპოვა. კამპანიით „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, პარტია მოქმედ ხელისუფლებას ბრალს სდებს საქართველოს დასავლეთის ქვეყნების ხელში ჩაგდებისთვის<sup>16</sup>. პატრიოტთა ალიანსი 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში რიგით მეოთხე ყველაზე წარმატებული პოლიტიკური პარტია აღმოჩნდა, რომელმაც ხმების 6.56%, დაახლოებით 100,000 ხმა მიიღო და რომლის შედეგადაც პატარა, თუმცა შესამჩნევი ოპოზიციური ძალა გახდა<sup>17</sup>.

<sup>13</sup> Alliance of Patriots, ხელმისაწვდომია - <http://patriots.ge/>

<sup>14</sup> Kremlin Influence Index 2017: Joint Research Report. Detector Media (Ukraine), გვ. 19.

<sup>15</sup> Morrison, Thea. “Alliance of Patriots of Georgia Leave for Moscow.” *Georgia Today*. 17 მაისი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://georgiatoday.ge/news/10307/Alliance-of-Patriots-of-Georgia-Leave-for-Moscow>

<sup>16</sup> Kucera, Joshua. “Georgia: Disillusion with Establishment Fuels Rise of Populism.” *EurasiaNet*. October 24, 2016. ხელმისაწვდომია - <https://eurasianet.org/s/georgia-disillusion-with-establishment-fuels-rise-of-populism>.

<sup>17</sup> Election Administration of Georgia. ხელმისაწვდომია - <https://results20171021.cec.gov.ge/eng/>

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ფლობს ტელევიზია ობიექტივს, რომელიც პარტიის მესიჯებისა და იდეების გავრცელების და ახალი მხარდამჭერების მოზილიზების საშუალებაა. მედიის განვითარების ფონდი, რომელიც საქართველოში მედია გარემოს აკვირდება, ტელევიზია ობიექტივს აფასებს, როგორც ეთნო-ნაციონალისტურ და პრო-რუსულ საინფორმაციო წყაროს<sup>18</sup>. პოლიტიკური მოთამაშე, რომელიც როგორც საკანონმდებლო, ისე მედია პლატფორმაზე ოპერირებს, შესაძლოა დესტაბილიზაციის გამღვივებელ ოპოზიციურ ძალად იქცეს. უკრაინაში პრო-რუსული მედიის უახლესმა კვლევამ აჩვენა, რომ პრო-რუსული პოლიტიკური ახალი ამბების ტელევიზიით გაშუქება არამხოლოდ ამომრჩევლის მოზილიზებას ახდენს იმისათვის, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა პრო-რუს კანდიდატს მისცენ, არამედ არწმუნებს ელექტორატს, მათთვის სასურველი პოზიცია დაიკავონ<sup>19</sup>. უკრაინის მსგავსად, ტელევიზია ინფორმაციასთან წვდომის მთავარი საშუალებაა საქართველოშიც- ქართველების 72% ინფორმაციას ტელევიზიით იღებს<sup>20</sup>. დანართში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე, სხვა პოლიტიკურ პარტიების მომხრეებთან შედარებით, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერები უნდობლობას უცხადებენ აშშ-ს და ეწინააღმდეგებიან საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. ეს კი პარტიის მხარდამჭერებს უფრო მეტად აქცევს რუსული ნარატივის ზეგავლენის ქვეშ, რომლის ძირითადი აქცენტებიც აშშ-სა და ნატოს საწინააღმდეგო პოლიტიკაზე კეთდება. პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერებისთვის მნიშვნელოვანი საკითხებზე ორიენტირებით, ობიექტივმა შესაძლოა ისეთი თემების გაშუქება არჩიოს, რომელიც მედია გარემოს მეტად პოლარიზებას შეუწყობს ხელს. ალიანსის ნარატივის მემარჯვენე პლატფორმასთან თანხვედრა და ქართული ოცნების მხრიდან, ულტრამემარჯვენე მოძრაობების მხარდაჭერა პოლიტიკური ძალაუფლების შესანარჩუნებლად, პოლიტიკური სივრცის მეტად პოლარიზებისა და ელექტორატს შორის განსხვავებების გაღვივების საფრთხეს ქმნის.

### **ქართული მარში**

ქართული მარში, რომლის ლიდერიც დიასპორის საკითხებში მინისტრის ყოფილი მოადგილე - სანდრო ბრეგაძეა, წამყვანი ულტრანაციონალისტური დაჯგუფებაა საქართველოში. მარში ულტრანაციონალისტურ ჯგუფად ითვლება, რადგან ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს სხვებზე უპირატესად წარმოაჩენს. ეს არის კოალიცია, რომელიც აერთიანების ცალკეულ პირებსა და ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებს, მათ შორის სხვადასხვა ნეო-ნაციისტურ ჯგუფებს, რომლებიც ცნობილი თავიანთი ჰომოფობიური და რასისტული განცხადებებით გახდნენ<sup>21</sup>. იდეოლოგიურად, ქართულ მარშს რადიკალური ანტი-იმიგრანტული პოლიტიკის, ანტი-მუსლიმური რიტორიკისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის კონტექსტში, სხვა ევროპული ულტრამემარჯვენე ჯგუფების მსგავსი მახასიათებლები

<sup>18</sup> Kintsurashvili, Tamar. *Hate Speech*. Tbilisi: Media Development Foundation, 2018, გვ. 20.

<sup>19</sup> Peisakhin, Leonid, and Arturas Rozenas. "Electoral effects of biased media: Russian television in Ukraine." *American Journal of Political Science* 62.3 (2018), გვ. 536.

<sup>20</sup> Mikashavidze, Maia. "Georgia Media Landscape." European Journalism Centre (EJC) 2018, გვ. 6.

<sup>21</sup> "Anatomy of Georgian Neo-Nazism." *Transparency International Georgia*. 18 მაისი, 2018. <http://www.transparency.ge/en/blog/anatomy-georgian-neo-nazism>.

აქვს<sup>22</sup>. ქართულმა მარშმა მთავარი როლი ითამაშა მაისის დემონსტრაციებში და ქართული საზოგადოების ყურადღების ქვეშ 2017 წლის 14 ივლისს „ქართველთა მარშის“ ორგანიზების შემდეგ მოექცა. 2000-მდე ულტრანაციონალისტმა პროტესტი აღმაშენებლის გამზირზე გამოხატა, სადაც არაბული, ირანული და თურქული რესტორნებია განთავსებული. დემონსტრაციის მონაწილეები არალეგალი იმიგრანტების დეპორტაციას, ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას, უცხოელებისთვის მაცხოვრებლის მოწმობის გაცემის გამკაცრებასა და უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აკრძალვას მოითხოვდნენ<sup>23</sup>.

ქართული მარში, რომელიც წარსულში უფრო არაფორმალური ქსელი იყო, ამჯერად ლეგიტიმური პოლიტიკური გავლენის მოპოვებას ცდილობს. 2018 წლის თებერვალში, დაჯგუფების ლიდერებმა მედიასთან დაადასტურეს, რომ ისინი ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას გეგმავენ. ბრეგამემ განაცხადა, რომ იგი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება, მისი თქმით მარი ლე პენის სტილის პლატფორმით<sup>24</sup>. თუმცა, ბრეგამის კანდიდატურა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

### **საქართველოს ეროვნული ერთობა**

საქართველოს ეროვნული ერთობა 2017 წლის იანვარში, გიორგი ჭელიძის - ფინანსთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა და ახლა ოფიციალურად რეგისტრირდება, როგორც არაკომერციული ეროვნული სოციალისტური მოძრაობა<sup>25</sup>. წარსულში, 2017 წლის აპრილში, ერთობის წევრებმა უნგრეთის პრემიერ-მინისტრის - ვიქტორ ორბანის საქართველოში ვიზიტს მხარი დაუჭირეს, ხოლო მიმდინარე წლის მაისში მიმდინარე კონტრ-აქციების მთავარი სახეები გახდნენ.

საქართველოს ეროვნული ერთობის ემბლემა იმ ქართველი ემიგრანტებისა და ომის ტყვეების ბატალიონს ეკუთვნის, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა კავშირს ნაცისტებთან ერთად ებრძოდა. როგორც ქართული მარში, საქართველოს ეროვნული ერთობა ულტრანაციონალისტურ ძალად და წამყვან ნეონაციისტურ ჯგუფად აღიქმება<sup>26</sup>. თბილისში 12-13 მაისს მთავრობის მიერ ღამის კლუბებში განხორციელებული რეიდების წინააღმდეგ გამართული აქციების საპასუხოდ ორგანიზებული კონტრ-აქციების დროს ჯგუფი ნაცისტურ შესტებს არ ერიდებოდა. შესტიულაციის მიმართ მედიის მხრიდან გამოჩენილი ყურადღების მიუხედავად, საქართველოს ეროვნული ერთობა სიამაყით თვით იდენტიფიცირდება არა ნეო-

<sup>22</sup> “Georgian far-right group plans to form new political party.” *Democracy & Freedom Watch*. 15 თებერვალი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://dfwatch.net/georgian-far-right-group-plans-form-new-political-party-49936>

<sup>23</sup> “Anti-Immigration Protest Held in Tbilisi.” *Radio Free Europe*. 15 ივლისი, 2017. ხელმისაწვდომია - <https://www.rferl.org/a/anti-immigration-protest-held-in-tbilisi/28618289.html>

<sup>24</sup> Lomsadze, Giorgi. “Can a reclining Georgian nationalist fake his way to the top?” *EurasiaNet*. 23 აპრილი, 2018. ხელმისაწვდომია - <https://eurasianet.org/s/can-a-reclining-georgian-nationalist-fake-his-way-to-the-top>

<sup>25</sup> “Anti-Orbán demonstrators face off with far-right in Tbilisi.” *Open Caucasus Media*. 21 აპრილი, 2017. ხელმისაწვდომია - <http://oc-media.org/anti-orban-demonstrators-face-off-with-far-right-in-tbilisi/>

<sup>26</sup> იგივე. Lomsadze



ნაცისტურ, არამედ ნეო-ფაშისტურ დაჯგუფებად და ხშირად ციტირებს ბენიტო მუსოლინის. ჯგუფი ყურადღებას საქართველოს ეთნიკურ სიწმინდეზე ამახვილებს და ეროვნული იდენტობისა და კულტურის წინაშე მდგარ საფრთხეების საპირისპიროდ, ფაშიზმში ხედავს გამოსავალს. ყველაზე მეტად პრობლემურია ის ფაქტი, თუ რამდენად დიდი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის ნოსტალგიამ მცირე ზომის რაზმის ჩამოყალიბებაზე<sup>27</sup>. ჯგუფის განცხადებით, ისინი კარგად შეიარაღებულები არიან და მზად არიან შექმნან საპატრულო რაზმები, კანონის უხედავობის დაცვის მიზნით<sup>28</sup>. ქართულ მარშთან მსგავსების მიუხედავად, ჭელიძე ხაზს უსვამს ამ ორ ჯგუფს შორის იდეოლოგიურ განსხვავებებს და ფორმალური კავშირების არარსებობას ადასტურებს<sup>29</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ერთობა სხვა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან ექსტრემისტული შეხედულებებით განსხვავდება, ჭელიძემ და მისმა მოძრაობამ ბოლო თვეების განმავლობაში მაინც დაიმსახურა მნიშვნელოვანი ყურადღება მედიისგან. ყურადღებით წახალისებულებს, ჯგუფის წევრებს შესაძლოა მეტი გამბედაობა მიეცეთ, გამოჩნდნენ დემონსტრაციებზე და მოწინააღმდეგე საპროტესტო ჯგუფებში მდგომარეობა დაძაბონ. სენსაციური შინაარსიდან გამომდინარე, ქართულ ნეო-ფაშისტურ ჯგუფზე ფოკუსირებული ამბები საკმაო ყურადღებას იქცევს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მსგავსი საჯაროობა განსაკუთრებით დამაზიანებელია ქვეყნისთვის, რადგან დამკვირვებლებმა შესაძლოა შეცდომით გაუთანაბრონ საქართველო სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანას, სადაც ნეო-ნაცისტური მოძრაობები გაძლიერდნენ და სახიფათო ავტორიტარული ხასიათი მიიღეს.

## საიდან მოდის ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიმართ მხარდაჭერა?

საქართველოს ეროვნული ერთობისა და ქართული მარშის მსგავსი არაფორმალური ჯგუფების მხარდაჭერის შესახებ სანდო ინფორმაცია არ მოიპოვება, რადგან ეს ჯგუფები პოლიტიკური ინსტიტუტების მიღმა ფუნქციონირებენ და საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ძირითადად ონლაინ ფორუმებსა და სოციალურ მედიას იყენებენ. იმ ფონზე, როდესაც ქართული მარში უფრო ლეგიტიმური ინსტიტუციური დამაჯერებლობის მოპოვებას ცდილობს, შესაძლოა მეტად ხელმისაწვდომი გახდეს მათ შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაცია.

27 Nizharadze, Tamuna. “როგორ იღებენ ქალებს ქართულ ფაშისტურ ორგანიზაციაში და სად ეკრძალებათ მათ სიყვარული.” *Tbiliselebi*. 27 აპრილი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=268453070>

28. “Anatomy of Georgian Neo-Nazism.” *Transparency International Georgia*. 18 მაისი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://www.transparency.ge/en/blog/anatomy-georgian-neo-nazism>

29 Kobakhidze, Otto. “Intolerance throws the Nazi salute in Georgia.” *Civil.ge*. 11 ივნისი, 2018. ხელმისაწვდომია - <https://civil.ge/archives/244077>.

საკანონმდებლო დონეზე მოასპარეზე მოთამაშე - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, უფრო მარტივი შესასწავლია. 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების ანალიზი ცხადყოფს, რომ პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერა დაკავშირებულია უმუშევრობასთან (ანალიზი I დანართში). უფრო ფართო, შესაბამისი ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინებით, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედი ულტრამემარჯვენე მოძრაობების მხარდაჭერების ანალიზი შესაძლოა ადასტურებდეს ჰიპოთეზას, რომ საქართველოში ულტრამემარჯვენე მოძრაობების მხარდაჭერები ეკონომიკურად გაჭირვებული მოსახლეობაა. თუმცა, ამ ეტაპზე არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები მათი მომხრეების დემოგრაფიის თაობაზე, საბოლოო დასკვნების გამოსატანად. უფრო მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც CRRC-ს 2017 წლის დეკემბერში ჩატარებული საზოგადოების დამოკიდებულებების შესახებ გამოკითხვის მონაცემებს ეყრდნობა. მაშინ, როდესაც განათლების დონე და უმუშევრობა არ აღმოჩნდა პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერის განმსაზღვრელი ინდიკატორი, აშშ-სა და ნატოს წინააღმდეგ არსებული განწყობები გამოიკვეთა, როგორც უფრო ძლიერი ინდიკატორები მემარჯვენე მოძრაობების მხარდასაჭერად. მათ, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოში მოქმედებს აშშ-ს პროპაგანდა და ისინი, ვინც არ უჭერენ მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, სამჯერ უფრო სავარაუდოა, რომ პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერები აღმოჩნდნენ (ანალიზი II და III დანართში). ეს შედეგი მეტ მნიშვნელობას იძენს პრო-რუსი აქტორის მიერ გაჟღერებული ნარატივის ანალიზისას.

## რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავლენა

შეუძლებელია საქართველოში ულტრამემარჯვენე მოძრაობებზე საუბარი, რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული განვითარების ხელის შეშლის მცდელობების განხილვის გარეშე. 2012 წლის არჩევნებში პუტინის გამარჯვება დაემთხვა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის დასავლეთისადმი უპრეცედენტოდ კეთილგანწყობილ ადმინისტრაციას. პუტინის არჩევის შემდეგ, კრემლში დაიწყო მიზანმიმართული მოქმედებები საქართველოში რუსული რბილი ძალის გააქტიურებისათვის. 2014 წელს კრემლმა დაიწყო პრო-რუსული არასმთავრობო ორგანიზაციებისა და სატელევიზიო არხების შექმნა, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიას ფარავდა. ბოლო წლებში, კრემლის ყურადღება მიპყრობილია ინტერნეტ მედია წყაროების საშუალებით, საქართველოს კიბერსივრცეში გავლენის მოპოვებაზე. საგულისხმოა, რომ რუსული მედია წყაროები ფუნქციონირებენ როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებზე იმისათვის, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს ქართული საზოგადოებისთვის<sup>30</sup>. ქართული იდენტობის მნიშვნელობით გაჯერებულ მედია გარემოში, რუსეთი იყენებს ემოციურ მესიჯებს დასავლური ლიბერალიზმის, როგორც ჰომოსექსუალიზმისა და უცხოელების შემოღების ფენომენის წარმოსაჩენად. პროპაგანდისტული კამპანიებით, რუსეთი გვევლინება ქვეყანას, რომელსაც მსგავსი მრწამსი,

<sup>30</sup> Rukhadze, Vasili. "Russia's Soft Power in Georgia: How Does It Work?" 19 თებერვალი, 2016. ხელმისაწვდომია - <https://jamestown.org/program/russias-soft-power-in-georgia-how-does-it-work/>

იდენტობა, ისტორია და კულტურა აქვს და რომელსაც შეუძლია საქართველოს დაცვა დასავლეთიდან მომავალი საფრთხეებისგან<sup>31</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ რთულია შეაფასო, თუ რამდენად ეფექტურია კრემლის ნარატივი ულტრამემარჯვენე მოძრაობების გაძლიერების მხარდასაჭერის მიმართულებით, 2018 წელს დეზინფორმაციის მდგრადობის ინდექსის ავტორები ულტრანაციონალისტურ მოძრაობებს საქართველოში კრემლის პროპაგანდის საფუძვლად აფასებენ<sup>32</sup>. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ყველა ულტრამემარჯვენე აქტორი დადანიშნულია რუსეთის ფედერაციასთან კავშირში. თუმცა, რთულია დაამტკიცო იღებენ თუ არა აღნიშნული ჯგუფები რუსეთის ფედერაციისგან პიდაპირ დახმარებას. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ბოლო დროს გამოქვეყნებულ ანგარიშში ქართული მარშისა და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წევრებს რუსეთის მთავრობასთან ან რუსეთის მიერ დაფინანსებულ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან აკავშირებს<sup>33</sup>. საქართველოს დემოკრატიის ჩამოშლაში საკუთარი როლის მიუხედავად, აქ წარმოდგენილი ყველა ულტრამემარჯვენე ჯგუფი თავს ძლიერ პრო-ქართულ ძალად აღიქვამს. რაც არ უნდა რეალური იყოს რუსეთის მხრიდან ფინანსური თუ სხვა გზებით მხარდაჭერა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ თითოეული ამ მოძრაობის მზარდი წარმატება რუსეთის ინტერესებს ემსახურება და საქართველოში ევრო-ატლანტიკური კურსის ხელშეშლას გულისხმობს. ამასთან, ცნობიერების დაბალი დონე იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს რუსული დეზინფორმაცია ულტრამემარჯვენე ჯგუფებს, საზოგადოებას მათი მესიჯების გავლენის ქვეშ ადვილად აქცევს.

## ულტრამემარჯვენე მესიჯები საქართველოში

ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდამჭერების დემოგრაფიის შესახებ შეზღუდული ინფორმაციის არსებობის პირობებში, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ამ ჯგუფების მესიჯები და რიტორიკა იმისათვის, რომ შევძლოთ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. საქართველოს ულტრამემარჯვენე მოძრაობებს შორის განმასხვავებელი ელემენტია ის, თუ რამდენად ხდება მობილიზება რელიგიის გარშემო. ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 81% თავს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წევრად აღიქვამს, ნაშრომში წარმოდგენილი თითოეული ულტრამემარჯვენე ჯგუფი, სხვადასხვა ხარისხით იყენებს ეკლესიას. ბევრი ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფი წარმოაჩენს მართლმადიდებლურ ქრისტიანობას „როგორც ქართული იდენტობის უმთავრეს საფუძველს, რომლის გლობალიზაციისგან დაცვა არის საჭირო“<sup>34</sup>. ამ კონტექსტში, ულტრამემარჯვენე აქტორები

<sup>31</sup> იგივე. *Kremlin Influence Index 2017*, გვ. 17.

<sup>32</sup> იგივე. Ananeishvili et al., გვ. 155.

<sup>33</sup> “Anatomy of Georgian Neo-Nazism.” *Transparency International Georgia*. 18 მაისი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://www.transparency.ge/en/blog/anatomy-georgian-neo-nazism>.

<sup>34</sup> Sabanadze, Natalie. *Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and the Basque Country*. Budapest: Central European University Press, 2010.



ქართული მართლმადიდებლობის მთავარ საფთხედ ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელებს (ძირითადად მუსლიმებს), ჰომოსექსუალობას და ზოგადად დასავლეთს წარმოაჩენენ.

### *სოციალურ მედიაში*

ფეისბუქი ქართული ეროვნული ერთობისა და ქართული მარშისტვის მესიჯების გავრცელების უმთავრესი პლატფორმაა. ქართული მარშის გვერდს დაახლოებით 16,000<sup>35</sup>, ხოლო საქართველოს ეროვნული ერთობის გვერდს - 3,000 მიმდევარი ყავს<sup>36</sup>. სიძულვილის ენის გამოყენების გამო ფეისბუქმა ორივე ჯგუფი წაშალა ან დაბლოკა, თუმცა ჯგუფის წევრებმა საპასუხოდ ახალი გვერდები შექმნეს. საქართველოს ეროვნული ერთობის გვერდი, რომელიც მხოლოდ 2018 წლის მაისიდან გააქტიურდა, წარმოადგენს ჯგუფს, რომელიც საქართველოს ეთნიკური სიწმინდისა და მომავლადვი სამშობლოს ეროვნული სოციალიზმით და ფაშიზმით გადარჩენითაა დაკავებული. ის ხშირად აღნიშნავს, რომ ფაშიზმი ანტი-ქრისტიანული იდეოლოგია არაა და შესაბამისად, მას ქართული ტრადიციული ღირებულებების დაცვის საშუალებად წარმოაჩენს. ერთობა მარქსიზმსა და კაპიტალიზმს ერთნაირად ემტერება და დემოკრატიასა და ლიბერალიზმს, განსაკუთრებით სექსუალური უმცირესობების უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ეწინააღმდეგება. იგი ამერიკულ ულტრამემარჯვენე რიტორიკას იყენებს, რომელიც პოლიტკორექტურობას უპირისპირდება და პროპაგანდის გავრცელებაში წამყვან მედია საშუალებებს ადანაშაულებს.

მაშინ, როდესაც ქართული მარში უფრო მეტი პოლიტიკური გავლენის მოპოვებას ცდილობს, წამყვან მედია საშუალებებში ჯგუფის ხედვები სულ უფრო ხშირად შუქდება. თუმცა, ქართული მარშის მხარდამჭერების ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანი პლატფორმა აღმოჩნდა ფეისბუქიც. ჯგუფის „ქართველთა მარშის“ მხარდამჭერი გვერდების აუდიტორიამ 50,000 ადამიანს გადააჭარბა. აღნიშნული გვერდები იყენებდნენ ნეო-ფაშისტურ, რასისტულ და ქსენოფობიურ ენას დემონსტრაციაში ფართო საზოგადოების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით<sup>37</sup>. ქართული მარში თავის ფეისბუქ გვერდზე პირდაპირ მიანიშნებს ქართულ მართლმადიდებლობაზე, როგორც მთავარ ღირებულებაზე. ის უპირისპირდება LGBT თემს და საზოგადოებას არაბი, ირანელი და თურქი მიგრანტებისგან მომავალი საფრთხეების შესახებ აფრთხილებს. როგორც საქართველოს ეროვნული ერთობა, ქართული მარში წამყვან მედიასაშუალებებს, განსაკუთრებით კი რუსთავი 2-ს დეზინფორმაციის გავრცელებაში და ფონდ ღია საზოგადოებას პროპაგანდის აგიტაციასა და ჰომოსექსუალიზმის ხელშეწყობაში ადანაშაულებს.

მაშინ როდესაც, საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე მოძრაობები სხვა ქვეყნებში არსებული ულტრამემარჯვენე ჯგუფების პოპულარულ ნარატივს, მაგალითად სოროსის საწინააღმდეგო რიტორიკას იყენებენ, მათ ჯერ კიდევ სრულად უნდა გამოიყენონ სოციალური

<sup>35</sup> ქართული მარში, ხელმისაწვდომია - <https://www.facebook.com/qartulimarshi/>

<sup>36</sup> ეროვნული სოციალისტური მოძრაობა- „საქართველოს ეროვნული ერთობა“, ხელმისაწვდომია - <https://www.facebook.com/pg/GeoNSM>.

<sup>37</sup> *Monitoring of the Activities of Ultra-Nationalist Groups on the Facebook*. Media Development Foundation: გვ. 9.

მედია, ინფორმაციული გარემოს საკუთარი ინტერესებზე მოსარგებად. არც ერთ ულტრამემარჯვენე ფეისბუქ გვერდს არ მოუხდენია ცალკეული პირების ორგანიზება ისე, როგორც ეს ამერიკულმა ულტრამემარჯვენე მოძრაობამ შეძლო, რაც გამოიხატებოდა კოორდინირებულ შეტევებში ვირტუალურ სივრცეში, მაგალითად კომენტარების ველში ახალი ამბების ან YouTube-ის ვიდეოების ბმულებზე. ქართული ულტრამემარჯვენე მოძრაობები კვლავ არ ჩანან ისეთ პოპულარულ ფორუმებზე, როგორცაა Twitter, YouTube ან Reddit. თუმცა, საყურადღებოა რუსეთის ინტერესი ხელი შეუწყოს ულტრამემარჯვენე მოძრაობებს გაძლიერებას საქართველოში და კრემლის ინსტიტუციური ცოდნის - ონლაინ „ტროლების“ ტაქტიკის გამოყენებას. მათ, ვისაც ადევნებს ულტრამემარჯვენე სენტიმენტების გაძლიერება საქართველოში, თვალი უნდა ადევნონ სოციალური მედიის გამოყენების საშუალებებს ულტრამემარჯვენე დღისწესრიგის მხარდამჭერი დეზინფორმაციის ან კონსპირაციული თეორიების გავრცელების პროცესში.

### **მედიაში**

საქართველოში თანამედროვე ულტრამემარჯვენე მოძრაობების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, თუ რამდენად ემთხვევა მათი მესიჯები კრემლის ნარატივს. მიუხედავად იმისა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები დისტანცირდებიან ღიად პრო-რუსული პოლიტიკისგან, მათი მესიჯები კრემლის დეზინფორმაციულ კამპანიების იდენტურია, ევროსკეპტიციზმის და ანტი-დასავლური მიდგომების გაღვივების კონტექსტში<sup>38</sup>. არის შემთხვევები, როდესაც თითქმის შეუძლებელია მედია გარემოში განასხვაო ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და პრო-რუსული წყაროების მესიჯები. მედიის განვითარების ფონდის ანგარიშის მიხედვით, სიძულვილის ენა და ანტი-დასავლური მესიჯები უპირველეს ყოვლისა მედია საშუალებებით ვრცელდება: ეთნო-ნაციონალისტური გაზეთი ასავალ-დასავალი და ალია ჰოლდინგი, ობიექტივი, და პრო-რუსული ინტერნეტ ვებ გვერდები საქართველო და მსოფლო და საქინფორმი<sup>39</sup>. საქართველო და მსოფლიო ანტი-დასავლური პროპაგანდისა და სიძულვილის ენის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

### **სიძულვილის ენა და ქსენოფობიური რიტორიკა**

პრო-რუსული მედია წყაროები საქართველოში სიძულვილის ენის მთავარი გამავრცელებლები არიან. მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროს კი ულტრამემარჯვენე ელემენტები წარმოადგენენ. 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს ზრდა შეინიშნებოდა თითქმის ყველა ტიპის სიძულვილის ენის გავრცელებაში. მედიის განვითარების ფონდი ქსენოფობიურ და ჰომოფობიური კომენტარების გაზრდილ დინამიკას ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურებას უკავშირებს<sup>40</sup>. როგორც საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ისე ქართული მარში იმ პოლიტიკური აქტორებს სიის სათავეში არიან, რომელთაც ყველაზე ხშირად გამოიყენეს სიძულვილის ენა გასული წლის განმავლობაში.

<sup>38</sup> Ananeishvili, Guram, Meskhi, Ana, and Tughushi, Lasha. *Disinformation Resilience in Central and Eastern Europe: Georgia*. Kiev: Eurasian States in Transition Research Center, 2018: გვ. 140.

<sup>39</sup> Kintsurashvili, Tamar. *Hate Speech*. Tbilisi: Media Development Foundation, 2018, გვ. 20.

<sup>40</sup> იგივე., გვ. 12.

საქართველოს ისტორიის მანძილზე, ქსენოფობიური დისკურსი თითქმის არ შეინიშნებოდა<sup>41</sup>. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ლტოლვილების კრიზისი მნიშვნელოვნად არ შეხებია და ქვეყანაში იმიგრაციაც ჯერ-ჯერობით შედარებით მცირე მასშტაბის ფენომენია, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა მაინც წარმატებით შეძლეს ერთმანეთთან დაეკავშირებინათ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი და მიგრანტების საკითხი, მათ შორის მიგრანტების მიზეზით ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას შორის უმუშევრობის ზრდის პრობლემა<sup>42</sup>. ზოგადად, ქსენოფობიური რიტორიკა მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბოლო წლების განმავლობაში<sup>43</sup>. ის იყო სიძულვილის ენის ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმა და 2017 წელს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების 50% შეადგინა. 2017 წელს ქსენოფობიურ კომენტარებში (29%) მიგრანტები ქვეყნისთვის საფრთხის შემცველ სუბიექტებად იყვნენ წარმოჩენილნი<sup>44</sup>.

### **ანტიდასავლური პროპაგანდა**

2017 წელს ანტი-დასავლური პროპაგანდის შინაარსობრივ ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. მედიის განვითარების ფონდის მიხედვით, 2017 წელს ყურადღება იდენტობისა და უფლებების კუთხით საგარეო პოლიტიკის მიმართულებაზე გადავიდა და აქცენტი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების (აშშ, ნატო, ევროკავშირი) დემონიზებაზე გაკეთდა. წინა წელთან შედარებით, აშშ-ს შესახებ ნეგატიური კომენტარები თითქმის სამჯერ, ხოლო ევროკავშირის შესახებ დაახლოებით ორჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც იდენტობის დაკარგვისა და ანტი-დასავლურ კონტექსტში ადამიანის უფლებების თავსმოხვევის შესახებ კომენტარები თითქმის განახევრდა. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ამერიკელი ფილანტროპისტის საწინააღმდეგო კომენტარები 2016 წლის შემდეგ თითქმის სამჯერ გაიზარდა. ნეგატიური კომენტარების ყველაზე დიდი წილი (25.9%) აშშ-ზე, ხოლო 18.4%<sup>45</sup> ნატოზე მოდის. ისევე როგორც სიძულვილის ენა, პრო-რუსული მედია და პოლიტიკური პარტიები ამ ნარატივების უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ, რასაც მოსდევს ულტრამემარჯვენე მედია საშუალებები. ანტი-დასავლური პროპაგანდის ნარატივში ცვლილება განსაკუთრებით საგანგაშოა იმ პირობებში, როდესაც კომბინირებული მონაცემების ანალიზი ულტრამემარჯვენე პოპულიზმსა და აშშ-სა და ნატოს მოტივების მიმართ უნდობლობას შორის მტკიცე კორელაციას ასახავს.

<sup>41</sup> Jgharkava, Irakli. "Anti-migrant Rhetoric in Georgia: Do Far-right Groups Threaten Georgia's Pro-European Discourse?" *Georgian Institute of Politics* 16 (2017), გვ. 1.

<sup>42</sup> იგივე, გვ. 6.

<sup>43</sup> "The population of Georgia on immigrants." *Social Science in the Caucasus* (blog). 14 მარტი, 2016. ხელმისაწვდომია - <http://crcc-caucasus.blogspot.com/2016/03/the-population-of-georgia-on-immigrants.html>

<sup>44</sup> იგივე, Kintsurashvili, გვ. 11.

<sup>45</sup> Kintsurashvili, Tamar. *Anti-Western Propaganda*. Tbilisi: Media Development Foundation (2018), გვ. 7-10.



## არსებული კანონები და პოლიტიკები

საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ დასაწერი არ აქვს შესაბამისი პროგრამები რუსულ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად. მთავრობას კვლავ არ შეუმუშავებია ყოვლისმომცველი პოლიტიკის სტრატეგია, ულტრამემარჯვენე მოძრაობებთან გასამკლავებლად. თუმცა, სიძულვილის ენის ყველაზე ექსტრემალური შემთხვევების წინააღმდეგ საბრძოლველი აუცილებელი კანონები უკვე ძალაშია.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება სიძულვილის ენა, თუ ის „მყისიერ, გარდაუვალ და აშკარა ძალადობის საფრთხეს ქმნის“<sup>46</sup>. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (GNCC) შეიმუშავა მაუწყებლების ქცევის კოდექსი, რომლის მიზანია ყველა მაუწყებელს თანაბარი პასუხისმგებლობა დააკისროს პროფესიული ეთიკის დაცვისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების მიმართულებით, კოდექსთან შესაბამისობაში, ის ასევე ქმნის თვით-რეგულირების მექანიზმს<sup>47</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები თანხმდებიან კანონის შეცვლის აუცილებლობაზე, სახელმწიფომ მარეგულირებელი კომისიის საშუალებით მეტი უნდა გააკეთოს მედიის მონიტორინგის მიმართულებით<sup>48</sup>. 2017 წელს მედიის განვითარების ფონდმა და სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობია“-ს წევრმა ორგანიზაციებმა სამი საჩივარი შეიტანეს სხვადასხვა კომისიაში. სამიდან ორი საჩივრის შემთხვევაში ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტი დაფიქსირდა. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ახდენს მედია სფეროში დეზინფორმაციის მონიტორინგს. ქარტია განიხილავს პროფესიული სტანდარტის დარღვევის შესახებ განცხადებულ შემთხვევებს მოთხოვნის შესაბამისად და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გაასაჩივრონ ჟურნალისტების მხრიდან ეთიკური ნორმების შეზღავნების შემთხვევები. 2010 წლიდან, ქარტიამ 163 სხვადასხვა მედია საშუალების შემთხვევა განიხილა<sup>49</sup>. სადაც სახელმწიფოს პროგრამის ან სახელმწიფო რესურსის ნაკლებობაა, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მედია მონიტორინგის მიმართულებით მუშაობენ, შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მთავრობის საქმიანობას. მედიის განვითარების ფონდი და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ასოციაცია საქართველოში რუსული დეზინფორმაციის ომის წინააღმდეგ იბრძვიან. მთავრობამ ამ ორგანიზაციებთან მჭირდროდ უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ აღმოაჩინოს რუსული პროპაგანდის სამიზნეები და უკეთესი სტრატეგია შეიმუშაოს მათთან საბრძოლველად.

2011 წელს მიღებული თავისუფლების ქარტია კრძალავს საბჭოური და ნაცისტური სიმბოლოების საჯარო დემონსტრირებას და დარღვევის შემთხვევაში 1000 ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. საქართველოს ვიცე პრემიერმა გიორგი გახარამ, რომელიც ასევე შინაგან საქმეთა მინისტრია, აღნიშნა, რომ კანონი ექსტრემისტულ გაერთიანებებთან საბრძოლველად

<sup>46</sup> იგივე. Kintsurashvili, Tamar. *Hate Speech*, გვ. 9.

<sup>47</sup> იგივე.. Kintsurashvili გვ. 9

<sup>48</sup> იგივე.. Ananeishvili, გვ. 146-147.

<sup>49</sup> იგივე.. Ananeishvili, გვ. 143.

სრულყოფილი მექანიზმი არაა - „კანონი არც თუ ისე ეფექტურია აგრესიულ და ფაშისტურ ჯგუფებთან საბრძოლველად“, განაცხადა გახარამ<sup>50</sup>. გახარია ირწმუნებოდა, რომ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა აღკვეთოს ნებისმიერი ფაშისტური გამოვლინება ქვეყანაში, მთავრობამ კი თავის განცხადებაში დაგმო ფაშისტური დაჯგუფებების არსებობა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო რამდენიმე იმ შემთხვევის გამოძიება, როდესაც ფაშისტური ჯგუფები 12-13 მაისის აქციებზე ძალადობისკენ მოუწოდებდნენ საზოგადოებას. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გააფრთხილა გაერთიანებები, მათ შორის ეროვნული ერთობა, მომავალში არ გამოეყენებინათ ფაშისტური სიმბოლიკა<sup>51</sup>. საქართველოს მთავრობა სწორად მოიქცა, როდესაც ქართული ფაშიზმი ქართულ იდეალებთან არათავსებად ფენომენად აღიარა. თუმცა, მთავრობა უნდა მოერიდოს სიმბოლოების აკრძალვის კანონის ფართოდ აღსრულებას. ულტრამემარჯვენე ჯგუფებს მარტივად შეუძლიათ მთავრობა სიტყვის თავისუფლების შელახვაში დაადანაშაულონ. ამასთან, ფაშისტური სიმბოლიკის დემონსტრირების აკრძალვა მხოლოდ მცირედით შეუწყობს ხელს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდამჭერების წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

## დასკვნა და რეკომენდაციები

მთავრობა რთულ მდგომარეობაშია და უნდა მოახერხოს ულტრამემარჯვენე მოძრაობების პრობლემის მოსაგვარებლად დელიკატური ბალანსის დაცვა. მომავალში დაგეგმილი დემონსტრაციების ძალისმიერი მეთოდებით, კანონიერად დაშლაც კი „მემარჯვენე ძალების სასარგებლოდ იმოქმედებს და ულტრამემარჯვენე მოძრაობების მიმართ საზოგადოების თანაგრძნობას გაზრდის“<sup>52</sup>. ცენზურის ნებისმიერი ფორმით აღქმა სააკაშვილის პერიოდთან დაკავშირებულ მოგონებებს გააღვიძებს და პრო-დასავლური ნარატივის მხარდასაჭერად ნებისმიერი საშუალების გამოყენების ბრალის საფუძველს შექმნის. ისეთ გარემოში, სადაც იმდენივე მოქალაქე ფიქრობს, რომ დასავლეთი ავრცელებს პროპაგანდას, რამდენიც ამ პრობლემას რუსეთს უკავშირებს, მთავრობა უნდა ეცადოს ისე მოიქცეს, რომ ულტრამემარჯვენე ძალებთან დაპირისპირებისას პრო-დასავლური ძალების მარიონეტად არ გამოჩნდეს<sup>53</sup>.

გამოზომილი საპასუხო ზომების მიღებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ ულტრამემარჯვენე მოძრაობები მხოლოდ პრო-რუსულ ძალებად არ შერაცხოს. რუსული დეზინფორმაციის როლი ამ შემთხვევაში ცალსახად მნიშვნელოვანი და სერიოზული ფაქტორია. თუმცა, იმის მიუხედავად, აფინანსებს თუ არა რუსეთის მთავრობა ულტრამემარჯვენე პოლიტიკას საქართველოში, იგი ნამდვილად არ აფინანსებს კერძო პირებს

<sup>50</sup>“Georgian State Security Service issue warning to neo-Nazis.” *Open Caucasus Media*. 18 მაისი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://oc-media.org/georgian-state-security-service-issue-warning-to-neo-nazis/>.

<sup>51</sup>Morrison, Thea. “Interior Minister: We Will Act against Fascist Groups.” *Georgia Today*. May 21, 2018. Available at <http://georgiatoday.ge/news/10348/Interior-Minister%3A-We-Will-Act-against-Fascist-Groups>

<sup>52</sup> იგივე. Lomsadze, Giorgi. “Georgian fascists step into the spotlight.”

<sup>53</sup> “As many Georgians think the West spreads propaganda as Russia.” *Social Science in the Caucasus* (blog). 19 თებერვალი, 2018. ხელმისაწვდომია - <http://crrc-caucasus.blogspot.com/2018/02/as-many-georgians-think-west-spreads.html>

ულტრამემარჯვენე ძალების მხარდასაჭერად. კრემლის მხარდაჭერის მიუხედავად, ულტრამემარჯვენე აქტორების პოზიციები მაინც იზიდავს დიდ საზოგადოებრივ ყურადღებას, რაც საკმაოდ შემაშფოთებელია. შესაბამისად, მთავრობამ უნდა გაიაზროს, რომ შეუმწყნარებლობის პრობლემის საფუძველი ქვეყნის შიგნითაა და აუცილებელია ყურადღება მიექცეს ულტრამემარჯვენე მოძრაობების მხარდაჭერი პირების უკმაყოფილების საფუძველებს, მაგალითად უმუშევრობას და კორუფციას<sup>54</sup>.

### **სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება**

მთავრობა ვერ უგულებელყოფს ფაქტს, რომ რუსულ დეზინფორმაციას ქვეყანაში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. 2018 წლის დეზინფორმაციის მდგრადობის ინდექსის ავტორების თქმით, სახელმწიფოს არ აქვს ჩამოყალიბებული ნათელი ხედვა ყალბი ცნობების გავრცელებსათან საბრძოლველად და არ არსებობს სახელმწიფო დონის სტრატეგია, პრო-რუსულ ნარატივთან გასამკლავებლად<sup>55</sup>. მხოლოდ 2017 წელს, სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევით, ადმინისტრაციამ დაამტკიცა დოკუმენტი, სადაც რუსული პროპაგანდა საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის საფრთხედ არის წარმოდგენილი<sup>56</sup>. ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ 2017-2020 წლებისთვის საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში კრემლის ინფორმაციული ომი მნიშვნელოვან საფრთხედაა შეფასებული, თუმცა ამ დრომდე მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებში დეზინფორმაციასთან ბრძოლა გაძლიერებულიყო<sup>57</sup>. რაც შეეხება, ულტრამემარჯვენე ძალებს, არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი არ უკავშირებს ულტრამემარჯვენე მოძრაობის მხარდ პოპულარობას რუსულ დეზინფორმაციას. მთავრობამ უპირველეს ყოვლისა უნდა გააცნობიეროს, რომ რუსული დეზინფორმაცია საქართველოში ულტრამემარჯვენე მოძრაობების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს (და პირიქით) და რომ საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედება პრობლემის გადასაჭრელად<sup>58</sup>.

საქართველოს მთავრობა შედარებით ნელი ტემპით აწვითარებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის ფართო სტრატეგიას. ისეთმა ჯგუფებმა, როგორებიცაა საქართველოს ეროვნული ერთობა და ქართული მარში უკვე გამოავლინეს ძალადობისადმი მიდრეკილება 2018 წლის მაისის კონტრაქციების დროს. თუ ამ შემთხვევაში მათი რისხვა ძირითადად მიმართული იყო ეთნიკურად ქართველ დემონსტრანტებზე, ამ ჯგუფებმა შესაძლოა მოახდინონ საქართველოს მნიშვნელოვანი მუსლიმური უმცირესობის რადიკალიზაცია, თუ გააძლიერებენ ისლამოფობიურ რიტორიკას და გააგრძელებენ ანტიმიგრანტულ დემონსტრაციებს<sup>59</sup>. ახალგაზრდა თაობებში ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმთან საბრძოლველად, მედიის შესახებ საგანმანათლებლო კურსების სკოლებში

<sup>54</sup> იგივე. Kobakhidze

<sup>55</sup> იგივე. Ananeishvili, გვ. 156.

<sup>56</sup> იგივე. *Kremlin Influence Index 2017*, გვ. 21.

<sup>57</sup> იგივე. Ananeishvili, გვ. 149.

<sup>58</sup> *Threats of Russia's Soft and Hard Power Policy in Georgia*. European Initiative, გვ.10.

<sup>59</sup> Krikorian, Onnik James. "Georgia Tackles the Thorny Problem of Radicalization." *Stratfor*. September 10, 2017.

ხელმისაწვდომია - <https://worldview.stratfor.com/article/georgia-tackles-thorny-problem-radicalization>



დანერგვა შესაძლოა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყოს ახალგაზრდა ქართველების რუსული დეზინფორმაციისა და ულტრამემარჯვენე რადიკალიზაციისგან დასაცავად<sup>60</sup>.

### **საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან თანამშრომლობა**

ზემოთ აღწერილი ულტრამემარჯვენე მოძრაობები ლეგიტიმურობის მოპოვებას ქართული მართლმადიდებლობის კონტექსტში, ქართული ღირებულებების დაცვით ცდილობენ. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში არსებობენ როგორც პრო-დასავლური, ისე პრო-რუსული ძალები, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასულიერო პირების ნაწილი წარსულში შეუერთდა ულტრამემარჯვენეების დემონსტრაციებს. ლიბერალური ნორმების ხელშეწყობის, მაგალითად რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებების და გენდერული თანასწორობის დაცვის მიმართულებით, ეკლესიას არც თუ სახარბიელო წარსული აქვს<sup>61</sup>. მიუხედავად ამისა, ეკლესია განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე, განსაზღვრავს მორალურ სტანდარტებს და შეუძლია კოლექტიური მოძრაობების მობილიზება. შესაბამისად, ულტრამემარჯვენე ძალების რიტორიკასთან საბრძოლველად, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ღია ფორმატით თანამშრომლობამ შესაძლოა მყისიერად შეანელოს ულტრამემარჯვენე მოძრაობების ზრდის ტემპი. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე ქართველების მარშის დემონსტრაციის დაწყებამდე ჩაერთა პროცესებში და დემონსტრანტებს ორი დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ძალადობის გაღვივების შეჩერებისკენ მოუწოდა<sup>62</sup>. ეკლესიის მტკიცე მხარდაჭერა მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და ოჯახური ღირებულებების დასაცავად არ ვრცელდება ძალადობრივ და სიძულვილის რიტორიკის მხარდაჭერაზე.

გაერთიანებული სამეფოსა და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოების ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი, რომელიც ორგანიზებულია თბილისში დაარსებული განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის და პატრიარქის საგანმანათლებლო ცენტრის მიერ, სასულიერო პირებს ევროკავშირის შესახებ აწვდის ინფორმაციას იმისათვის, რომ მათ შემდგომ ამ ცოდნის გადაცემა საკუთარი მრევლისთვის შეძლონ<sup>63</sup>. მსგავსი პროგრამა შესაძლოა დაინერგოს ულტრამემარჯვენე ძალებთან საბრძოლველად სასულიერო პირების მიუკერძოებელ და ობიექტურ წარმომადგენლებს შორის. პროგრამამ სასულიერო პირებს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ულტრამემარჯვენე რადიკალიზაციასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და ამ გზით ქრისტიანული ღირებულებების შეზღავნების შესახებ და მოუწოდოს მათ ეს გზავნილები საკუთარ მრევლამდე მიიტანონ.

<sup>60</sup> იგივე. Ananeishvili, გვ. 153.

<sup>61</sup> Minesashvili, Salome. "Can the Georgian Orthodox Church Contribute to the Democratization Process?" *Georgian Institute of Politics* (January 2016), გვ. 3.

<sup>62</sup> "Anti-Russian fascist' rally met by far-right in Tbilisi." *Open Caucasus Media*. 24 ივლისი, 2017. ხელმისაწვდომია - <http://oc-media.org/anti-russian-fascist-rally-met-by-far-right-in-tbilisi/>

<sup>63</sup> "Georgia: How Closely Should the State Embrace the Church?" *EurasiaNet*. 26 მაისი, 2016. ხელმისაწვდომია - <https://eurasianet.org/s/georgia-how-closely-should-the-state-embrace-the-church>.

### **დეზინფორმაციასთან ბრძოლა მედიაში**

მედიაში გაშუქებისას დეტალებზე ყურადღების არგამახვილება არსებული პრობლემების არასათანადოდ შეფასებას იწვევს და მეტად ართულებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლას. სახელმწიფოსგან დაფინანსებულ მედია საშუალებას შეუძლია უფრო მეტი გააკეთოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზნების, მათ შორის ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის. საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა ხელახლა უნდა განიხილოს ევროპაში საკუთარი ბიუროს დახურვის საკითხი. ევროპასა და ალიანსთან, ასევე საქართველოში მცხოვრებ უცხოელებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, ხელს შეუწყობს ქსენოფობიისა და დასავლეთის მიმართ უნდობლობის დამარცხებას<sup>64</sup>. ამასთან, ქართულ მედიაში მეტი ევროპული და თუნდაც ამერიკული პროგრამების ჩართვა დასავლური კულტურის მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების დანგრევას შეუწყობს ხელს.

და ბოლოს, ულტრამემარჯვენე მოძრაობების მედიაში გაშუქების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბევრი სტატია არასწორ კონტექსტში განიხილავს ამ ჯგუფებს. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ერთობა მოხსენიებულია, როგორც ნეო-ნაციტური ჯგუფი, ამ ტერმინის სათანადოდ შესწავლის გარეშე. ამ ჯგუფის ფეისბუქის გვერდის უმთავრესი მიზანია ფაშიზმი და ეროვნული სოციალიზმი წარმოაჩინოს, როგორც დემოკრატიის რეალური ალტერნატივა, მათი იდეოლოგია კი მთლიანად მიმართულია საქართველოს ეთნიკური სიწმინდის დაცვაზე. ქართული მარშიც ნეო-ნაციტურ ძალადაა მოხსენიებული, მაშინ როდესაც ჯგუფი აერთიანებს რამდენიმე ულტრანაციონალისტურ ელემენტს. ის ხშირად ახდენს არაბი, მუსლიმი და თურქი მიგრანტების ან სხვა ჯგუფების დემონიზაციას. პატრიოტთა ალიანსი ხშირად წარმოდგენილია, როგორც პრო-რუსული ძალა. თუმცა, პარტიის პლატფორმა რუსეთის მიმართ ნეიტრალური და ნატოს მიმართ უფრო სკეპტიკურია, ვიდრე ღიად ნატოს წინააღმდეგი. პარტიის მთავარი ინტერესია, პოზიციონერდეს, როგორც „ხალხის“ დამცველი ძალა. ამ ჯგუფების სამომავლო მიზნებზე დეტალური განხილვის გარეშე საუბარი, მეტად ართულებს მათი მთავარი მიზნებისა და მხარდამჭერების გაანალიზებას და შესაბამისად, მათ წინააღმდეგ ბრძოლას. სახელმწიფომ ჟურნალისტებს სათანადო ტრენინგები უნდა ჩაუტაროს იმისათვის, რომ მათ შეძლონ სხვადასხვა ჯგუფებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირება და მათი მესიჯების უკეთესად გაშუქება. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს ჟურნალისტებისთვის შესაბამისი ცოდნისა და შესაძლებლობების ამაღლება რუსულ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად.

<sup>64</sup> იგივე. Ananeishvili, გვ. 144.

## V. დანართი

ამ დანართში წარმოდგენილი ანალიზი საშუალებას იძლევა მოხდეს საქართველოში ულტრამემარჯვენე პარტიის მხარდაჭერის ზედაპირული შეფასება. თუმცა, ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდაჭერის განმსაზღვრელი ფაქტორების უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველი სურათის დასანახად საჭიროა კომპლექსური სტატისტიკური ანალიზი

### ანალიზი I

#### მეთოდოლოგია

ანალიზში წარმოდგენილია საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ხმების რაოდენობა საქართველოს 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების, მეორე ტურში, რეგიონების მიხედვით. დამოუკიდებელი ცვლადია იმიგრანტების, უმუშევარი ადამიანების, საშუალო ან უფრო დაბალი დონის განათლების მქონე პირების, სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა რაოდენობა (2017 წლის ოქტომბრის მონაცემებით) და თითოეული რეგიონის ურბანულ დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი. ყველა დამოუკიდებელი ცვლადი შეგროვებულია მოსახლეობის უახლესი აღწერის (2014) მონაცემებისგან, პენსიონერების შესახებ მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის გარდა, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოსგან იქნა მიღებული. დამოუკიდებელი ცვლადის შესახებ მონაცემები მიღებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან.

ცვლადი	(1) საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
განათლების დაბალი დონე	0.050 (0.062)
იმიგრანტები	<b>-0.306*</b> (0.173)
უმუშევრობა	<b>0.207**</b> (0.095)
პენსიონერები	0.063 (0.053)
% ურბანულ დასახლებაში	-325.378 (561.478)
უცვლელი	612.528* (312.591)
დაკვირვება	62
კვადრატული გადახრა	0.908
სტანდარტული ფრჩხილებში	ცდომილება
*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1	

## შედეგები

განათლების დაბალი დონე, მიგრანტების არსებობა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, როგორც შესაბამის ლიტერატურაშია წარმოდგენილი, დაკავშირებულია ულტრამემარჯვენე, პოპულისტური პარტიების მხარდაჭერასთან<sup>65</sup>. სახელმწიფო პენსიის მიმღები პირების რაოდენობა ასახულია სიღარიბეში მცხოვრები პირების საზომ ერთეულში, იმდენად, რამდენადაც იმ პარტიისთვის, რომელიც აქცენტს ეთნიკურად ქართველების მხარდაჭერაზე აკეთებს, პენსიონერების დარწმუნება უფრო მარტივია. ამასთან, სოფელში მცხოვრები მოსახლეობა როგორც წესი უფრო გაჭირვებულია, შესაბამისად არჩევნებზე ხმის მიცემის პრინციპი ფუნდამენტურად განსხვავდება ურბანულ დასახლებაში მცხოვრები პირებისაგან კულტურული და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით. ურბანულ დასახლებაში მცხოვრები ამომრჩევლის პროცენტული წილი ამ მოდელშია ასახული იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ურბანულ დასახლებებში და სოფლად მცხოვრებ ამომრჩევლებს შორის განსხვავების კონტროლი.

ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერთა რაოდენობა იზრდება, რეგიონში უმუშევართა რაოდენობის ზრდის პარალელურად. არსებული მოლოდინებისგან განსხვავებით, ანალიზმა ცხადყო, რომ იმიგრანტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად შემცირდა პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერთა რიცხვი. მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობა, ასევე, ურბანულ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი, არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი საზომი ერთეული.

## ანალიზი II

### მეთოდოლოგია

ანალიზი II-ში გამოყენებულია 2017 წელს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევები საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ. ანალიზი ჩატარებულია მულტინომიალური ლოჯისტიკური რეგრესიაზე დაყრდნობით, დიქტომიური დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების გამოყენებით. დამოკიდებული ცვლადი წარმოადგენს პირს, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი იდეოლოგიურად ყველაზე ახლოს მდგომი პარტიაა მისთვის.

---

<sup>65</sup> Arzheimer, Kai. "15 Electoral Sociology—who Votes for the Extreme Right and Why—and When?." *The Populist Radical Right: A Reader* 277 (2016).



(ცხრილი I)

VARIABLES	(1) პატრიოტ ტა ალიანს ი	(2) პატრიოტ თა ალიანსი	(3) პატრიოტ თა ალიანსი	(4) პატრიოტ თა ალიანსი	(5) პატრიოტ თა ალიანსი	(6) პატრიოტ თა ალიანსი
JOINNATOGOOD	-1.338** (0.647)	-1.295** (0.639)	-1.301** (0.643)	-1.073* (0.562)	-1.604*** (0.396)	-1.430*** (0.378)
USPROPAGREE	0.190 (0.709)	0.200 (0.703)	0.186 (0.702)	0.559 (0.673)	-0.010 (0.385)	0.034 (0.374)
RUPROPAGREE	1.074 (0.712)	1.094 (0.710)	1.096 (0.708)	0.976 (0.615)	0.600 (0.387)	<b>0.728*</b> (0.385)
JOINEURASIANGOOD	0.507 (0.649)	0.555 (0.643)	0.523 (0.645)	0.743 (0.569)	<b>0.693*</b> (0.380)	<b>0.705*</b> (0.368)
DISINFO_GEOTV	0.325 (0.822)	0.341 (0.818)	0.344 (0.813)	0.077 (0.684)	0.040 (0.438)	0.101 (0.422)
WRONGDIRECTION	0.643 (0.591)	0.489 (0.573)	0.528 (0.568)	0.197 (0.511)	0.482 (0.349)	0.523 (0.337)
CULTRLHERITAGE	-0.937 (1.097)	-1.005 (1.097)	-0.957 (1.090)	-1.251 (1.074)	-0.454 (0.515)	-0.242 (0.470)
URBANDUMMY	0.076 (0.598)	0.105 (0.594)	0.159 (0.588)	0.193 (0.525)	0.414 (0.401)	
PROTESTVOTE	0.222 (0.706)	0.210 (0.696)	0.238 (0.694)	<b>0.899*</b> (0.542)		
SPENDMNTH	-0.314 (0.621)	-0.271 (0.618)	-0.161 (0.602)			
UNEMPL	0.479 (0.632)	0.468 (0.632)				
JOBS_IMP	0.650 (0.580)					
უცვლელი	4.968*** (1.254)	-4.667*** (1.198)	-4.432*** (1.152)	-4.572*** (1.024)	-3.386*** (0.625)	-3.399*** (0.528)
დაკვირვება	528	528	528	602	917	980

სტანდარტული ცდომილება  
ფრჩხილებში

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

(ცხრილი II)

VARIABLES	(7) პარტი ოტა	(8) პარტიო ტა	(9) პარტიო ტა	(10) პარტიო ტა	(11) პარტიო ტა	(12) პარტიო ტა
-----------	---------------------	---------------------	---------------------	----------------------	----------------------	----------------------

	ალიან სი	ალიანს ო	ალიანს ო	ალიანს ო	ალიანს ო	ალიანს ო
JOINNATOGOOD	<b>1.483***</b> (0.364)	<b>-1.468***</b> (0.359)	<b>-1.489***</b> (0.347)	<b>-1.666***</b> (0.310)	<b>-1.381***</b> (0.289)	<b>-0.994***</b> (0.249)
USPROPAGREE	0.011 (0.357)	-0.067 (0.350)	0.123 (0.329)	0.172 (0.328)	0.449 (0.314)	
RUPROPAGREE	<b>0.797**</b> (0.376)	<b>0.854**</b> (0.374)	<b>0.780**</b> (0.346)	<b>0.640*</b> (0.335)		
JOINEURASIANGOOD	0.556 (0.353)	0.542 (0.349)	0.390 (0.338)			
DISINFO_GEOTV	0.234 (0.413)	0.203 (0.398)				
WRONGDIRECTION	0.432 (0.316)					
CULTRLHERITAGE						
URBANDUMMY						
PROTESTVOTE						
SPENDMNTH						
UNEMPL						
JOBS_IMP						
უცვლელი	<b>3.446***</b> (0.517)	<b>-3.191***</b> (0.485)	<b>-3.066***</b> (0.420)	<b>-2.751***</b> (0.331)	<b>-2.630***</b> (0.293)	<b>-2.588***</b> (0.170)
დაკვირვება	1,057	1,077	1,176	1,187	1,247	1,674

სტანდარტული

ცდომილება ფრჩხილებში

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

### (ცხრილი III)

VARIABLES	(1) პარტი ოტთა ალიან სი	(2) პარტი ოტთა ალიან სი	(3) პარტი ოტთა ალიანს ო	(4) პარტიო ტთა ალიანსი	(5) პარტი ოტთა ალიან სი	(126) პარტი ოტთა ალიან სი
JOINEUGOOD	0.060 (0.683)	0.106 (0.678)	0.087 (0.678)	-0.130 (0.580)	<b>-0.985**</b> (0.384)	<b>-0.901**</b> (0.362)
EUPROPAGREE	-0.094 (0.606)	-0.103 (0.598)	-0.112 (0.598)	0.246 (0.564)	-0.097 (0.365)	-0.135 (0.351)
RUPROPAGREE	0.414	0.395	0.401	0.402	0.342	0.514

	(0.619)	(0.613)	(0.611)	(0.543)	(0.374)	(0.367)
JOINEURASIANGOOD	0.860	0.891	0.880	<b>0.940*</b>	<b>0.762**</b>	<b>0.812**</b>
	(0.598)	(0.591)	(0.591)	(0.539)	(0.386)	(0.363)
DISINFO_GEOTV	0.299	0.319	0.308	0.106	0.014	0.179
	(0.698)	(0.695)	(0.695)	(0.607)	(0.413)	(0.398)
WRONGDIRECTION	0.844	0.765	0.799	0.486	0.488	0.452
	(0.540)	(0.535)	(0.531)	(0.476)	(0.337)	(0.322)
CULTRLHERITAGE	-1.186	-1.167	-1.154	-1.441	-0.482	-0.557
	(1.071)	(1.067)	(1.065)	(1.058)	(0.503)	(0.495)
URBANDUMMY	-0.126	-0.138	-0.106	-0.008	0.176	
	(0.537)	(0.535)	(0.532)	(0.475)	(0.359)	
PROTESTVOTE	0.102	0.079	0.100	0.773		
	(0.673)	(0.667)	(0.666)	(0.516)		
SPENDMNTH	-0.414	-0.394	-0.326			
	(0.582)	(0.584)	(0.577)			
UNEMPL	0.354	0.356				
	(0.566)	(0.567)				
JOBS_IMP	0.622					
	(0.522)					
უცვლელი	4.913***	4.609***	-4.410***	-4.402***	3.137***	3.295***
	(1.163)	(1.122)	(1.074)	(0.940)	(0.616)	(0.524)
დაკვირვება	547	547	547	625	942	1,014

სტანდარტული ცდომილება ფრჩხილებში

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

#### (ცხრილი IV)

	(7)	(8)	(9)	(10)	(11)	(12)
		პარტი	პარტი	პარტი	პარტი	პარტი
		ოტთა	ოტთა	ოტთა	ოტთა	ოტთა
		ალიან	ალიანს	ალიანს	ალიანს	ალიანს
VARIABLES	ალიანსი	სი	ო	ო	ო	ო
JOINEUGOOD	<b>-0.995***</b>	<b>1.051***</b>	<b>-1.006***</b>	<b>-1.287***</b>	<b>-1.124***</b>	<b>-0.887***</b>
	(0.353)	(0.347)	(0.330)	(0.289)	(0.273)	(0.244)
EUPROPAGREE	0.013	-0.039	-0.037	0.021	0.139	
	(0.340)	(0.335)	(0.306)	(0.304)	(0.281)	
RUPROPAGREE	0.533	<b>0.607*</b>	<b>0.678**</b>	0.504		
	(0.358)	(0.357)	(0.331)	(0.319)		
JOINEURASIANGOOD	<b>0.600*</b>	<b>0.581*</b>	<b>0.586*</b>			
	(0.356)	(0.350)	(0.330)			
DISINFO_GEOTV	0.199	0.148				
	(0.390)	(0.377)				
WRONGDIRECTION	0.379					
	(0.308)					
CULTRLHERITAGE						

URBANDUMMY

PROTESTVOTE

SPENDMNTH

UNEMPL

JOBS\_IMP

უცვლელი	-3.347*** (0.516)	3.093*** (0.488)	-3.057*** (0.419)	-2.569*** (0.315)	-2.394*** (0.274)	-2.519*** (0.187)
დაკვირვება	1,100	1,124	1,229	1,243	1,310	1,724

სტანდარტული ცდომილება

ფრჩხილებში

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

### შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ ანალიზი არ აჩვენებს რომელი ინდიკატორები განსაზღვრავენ პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერას, შესაძლებელია იმ მიზეზების აღმოჩენა, რომელიც დაკავშირებულია პარტიის მხარდაჭერასთან. აღსანიშნავია ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ ანალიზისთვის საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან დაკავშირებული ცვლადები. ის ინდიკატორები, რომლებიც ეხება ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას სტატისტიკურად მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ეკონომიკური ცვლადები ასეთივე მნიშვნელობის არაა.

ორივე ცვლადი, რომელიც წარმოადგენს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს, უარყოფითადაა დაკავშირებული ულტრამემარჯვენე პარტიის - პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერასთან, მაშინ როდესაც ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა პოზიტიურადაა პარტიის მხარდაჭერასთან დაკავშირებული. რწმენა, რომ რუსული პროპაგანდა მართლაც არსებობს, პოზიტიურადაა დაკავშირებული პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერასთან. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ თუკი პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერა ბაზა ეთანხმება ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას, მათ ასევე გაცნობიერებული აქვთ რუსული პროპაგანდის არსებობა. ზოგადად, გამოკითხულთა 54% ეთანხმება აზრს, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა გავრცელებულია, მაშინ როდესაც ქვეყანაში აშშ-ს პროპაგანდის არსებობას 46% ეთანხმება. ეს შედეგი შემფოთების საფუძველი უნდა გახდეს იმის გათვალისწინებით, რომ პრო-რუსული ნარატივი ყურადღებას საქართველოში არსებულ ამერიკულ პროპაგანდაზე ამახვილებს.

ანალიზი I-სგან განსხვავებით, ეკონომიკური ცვლადები ამ ანალიზისთვის მნიშვნელოვანი არაა. უმუშევრობა - დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები



ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა; დაბალი ყოველთვიური შემოსავალი (0-300 ლარი თვეში); და დაბალი განათლების დონე (საშუალო განათლებაზე დაბალი დონე) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადები არ აღმოჩნდა.

იმის გათვალისწინებით, თუ როგორი ძალისხმევით ადანაშაულებს პატრიოტთა ალიანსი მთავრობას ქართული იდენტობის არასაკმარისად დაცვაში, შესაძლოა ვივარაუდოთ, თუ რამდენადაა ეს ინდიკატორი დაკავშირებული ულტრამემარჯვენე მოძრაობების მხარდაჭერასთან. თუმცა, ისეთი დამოუკიდებელი ცვლადიც კი, რომელიც ეხება კულტურის დაცვას, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არაა. ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პირები, რომლებიც ურბანულად დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობენ, ნაკლებად უჭერენ მხარს პატრიოტთა ალიანსს. ამასთან, მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ის პირები, ვისაც მეტი კონტაქტი აქვთ უცხოელებთან ნაკლებად უჭერენ მხარს ულტრამემარჯვენე პარტიებს. ამის მიუხედავად, ანალიზი I-ში გამოვლენილი შედეგების მსგავსად, ურბანულ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრება პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერის შესაფასებლად სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ინდიკატორი არაა.

და ბოლოს, ულტრამემარჯვენე პარტიების მხარდაჭერა ხშირად აიხსნება, როგორც „საპროტესტო ხმის მიცემა“ ფენომენი, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლები პოლიტიკურ პარტიას უჭერენ მხარს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მყოფ პარტიებს კონკრეტული მესიჯი გაუგზავნონ. თუმცა საპროტესტო ხმის მიცემა (რომელიც იზომება სუბიექტისთვის ხმის არმიცემით, სუბიექტისთვის ხმის მიცემის გაზომვის ნაცვლად) პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერასთან დაკავშირებული არ იყო.

### ანალიზი III

ანალიზი იყენებს 2017 წელს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევებ საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ. ანალიზი ჩატარებულია მულტინომიალური ლოჯისტიკური რეგრესიაზე დაყრდნობით, დიქტომიური დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების გამოყენებით. დამოკიდებულ ცვლადებს წარმოადგენენ პირები, რომლებმაც პატრიოტთა ალიანსი, ქართული ოცნება, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო ან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იდეოლოგიურად მათთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიებად დაასახელეს.

VARIABLES	(2) პატრიოტთა ალიანსი	(4) ქართული ოცნება	(6) დემოკრატიული მომრავობა - ერთიანი საქართველო	(8) ერთიანი ნაციონალურ ი მომრავობა
USPROPAGREE	<b>1.157**</b> (0.554)	<b>0.453***</b> (0.147)	0.600 (0.681)	<b>-0.719***</b> (0.248)
WRONGDIRECTI ON	0.259 (0.425)	<b>-0.911***</b> (0.156)	<b>1.719**</b> (0.683)	<b>1.462**</b> (0.261)
UNEMPL	0.430 (0.459)	-0.139 (0.147)	-0.381 (0.608)	<b>0.590**</b> (0.277)
CULTRLHERITA GE	-0.708 (0.762)	<b>-1.193***</b> (0.249)	-0.871 (1.064)	<b>1.309***</b> (0.265)
PROTESTVOTE	0.503 (0.491)	<b>-0.683***</b> (0.211)	0.425 (0.694)	<b>0.584**</b> (0.295)
JOINNATOGOOD	<b>-1.031**</b> (0.413)	-0.028 (0.161)	<b>-1.668***</b> (0.624)	<b>1.417***</b> (0.376)
უცვლელი	<b>-3.999***</b> (0.676)	0.144 (0.196)	<b>-4.512***</b> (0.876)	<b>-4.548***</b> (0.466)
დაკვირვება	749	886	886	886

სტანდარტული ცდომილება ფრჩხილებში

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

VARIABLES	(1) პატრიოტთა ალიანსი	(2) ქართული ოცნება	(3) დემოკრატიული მომრავობა - ერთიანი საქართველო	(4) ერთიანი ნაციონალურ ი მომრავობა
USPROPAGREE	<b>1.090*</b> (0.558)	<b>0.460***</b> (0.148)	0.551 (0.691)	<b>-0.698***</b> (0.250)
WRONGDIRECTIO N	0.308 (0.433)	<b>-0.930***</b> (0.157)	<b>1.695**</b> (0.692)	<b>1.494***</b> (0.262)
UNEMPL	0.384 (0.464)	-0.133 (0.148)	-0.454 (0.620)	<b>0.644**</b> (0.279)
CULTRLHERITAGE	-0.729 (0.765)	<b>-1.195***</b> (0.249)	-1.047 (1.077)	<b>1.374***</b> (0.268)
PROTESTVOTE	0.545 (0.495)	<b>-0.654***</b> (0.212)	0.462 (0.704)	<b>0.599**</b> (0.295)
JOINNATOGOOD	<b>-0.818*</b> (0.478)	0.042 (0.182)	-0.944 (0.696)	<b>0.992**</b> (0.401)
JOINEURASIANGO OD	0.321 (0.484)	0.139 (0.181)	<b>1.602**</b> (0.754)	<b>-0.945**</b> (0.372)
უცვლელი	<b>-4.208***</b>	0.049	<b>-5.618***</b>	<b>-4.084***</b>

	(0.744)	(0.221)	(1.070)	(0.483)
დაკვირვება	740	874	874	874

სტანდარტული ცდომილება ფრჩხილებში

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

## შედეგები

ანალიზი III, ანალიზი II-ში განხილულ ზოგიერთ დამოუკიდებელ ცვლადს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას ადარებს. აღსანიშნავია, რომ პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერის კონტექსტში, სტატისტიკურად მნიშვნელოვან ინდიკატორებად წარმოდგენილია მხოლოდ რწმენა საქართველოში აშშ-ს პროპაგანდა გავრცელებაზე და წარმოდგენები ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. რწმენა, რომ საქართველო წამდვილად არასწორი მიმართულებით მიდის; უმუშევრის სატუსი; რწმენა, რომ ადგილობრივი მთავრობა არ დაიცავს კულტურულ მემკვიდრეობას და საპროტესტო ხმის მიცემა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არ იყო. პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერის კვლევისას, საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან დაკავშირებული სკეპტიციზმი იყო ერთადერთი შესაბამისი დამოუკიდებელი ინდიკატორი.

შედარებისთვის, ანალიზი III მოიცავს იმ დამოუკიდებელ ცვლადებს, სადაც რესპოდენტებმა განაცხადეს რომ ან ქართული ოცნება, ან დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო ან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მათთან ყველაზე ახლო მდგომი პარტია იყო. ამ ანალიზის შედეგები მოსალოდნელი იყო. გასაკვირი არაა, რომ რწმენა იმისა, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის, საპროტესტო ხმის მიცემა და რწმენა, რომ ადგილობრივი მთავრობა ვერ დაიცავს კულტურულ მემკვიდრეობას უარყოფითადაა დამოუკიდებელი ქართული ოცნების მხარდაჭერაზე. მოსალოდნელი არაა, რომ საპროტესტო ხმის მიცემა ან მთავრობით უკმაყოფილება ხელისუფლებაში მყოფი პარტიის მხარდაჭერასთან დადებითად იქნება დაკავშირებული. თუმცა, რწმენა, რომ საქართველოში ამერიკული პროპაგანდა ვრცელდება პოზიტიურადაა დაკავშირებული ქართული ოცნების მხარდაჭერასთან, მაშინ, როდესაც, ნატოში გაწევრიანებაზე თანხმობა, პარტიის პრო-დასავლური კურსის მიუხედავად, ქართული ოცნების მხარდაჭერისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ინდიკატორი არაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა პოზიტიურადაა დაკავშირებული: რწმენასთან, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება; უმუშევრის სტატუსთან; რწმენასთან, რომ ადგილობრივი მთავრობა ვერ მოახერხებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას; საპროტესტო ხმის მიცემასთან და საქართველოს ნატოში გაწევრიანების ამბიციის მხარდაჭერასთან. არ არის გასაკვირი, რომ მთავრობით უკმაყოფილება, ქვეყნის განვითარების მიმართულება და საპროტესტო ხმის მიცემა მთავარი ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერასთანაა დაკავშირებული. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მკვეთრად პრო-დასავლურ ძალად რჩება და მოსალოდნელია, რომ პარტიის მომხრეები ნატოში საქართველოს ინტეგრაციას მიესალმებიან.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობა მცირეა, ის საქართველოში მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი პრო-რუსული პარტიაა და ყველაზე მეტად გამოირჩევა ანტი-დასავლური განცხადებებით. პატრიოტთა ალიანსს ხშირად უწოდებენ პრო-რუსულ პარტიას. თუმცა, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ პატრიოტთა ალიანსის მხარდაჭერის ინდიკატორების ღიად ანტი-დასავლური პოლიტიკური პარტიების ინდიკატორებისგან. როგორც პატრიოტთა ალიანსის შემთხვევაში, ნატოში გაწევრიანების მიმართ მხარდაჭერა ნეგატიურადაა დაკავშირებული დემოკრატიული მოძრაობის მხარდაჭერასთან. მაშინ, როდესაც პატრიოტთა ალიანსისგან განსხვავებით, რწმენა, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით მიდის, პოზიტიურად უკავშირდება დემოკრატიული მოძრაობის პარტიის მხარდაჭერას.

Logistic regression	Number of obs	=	749
	LR chi2(6)	=	15.93
	Prob > chi2	=	0.0142
Log likelihood = -101.61211	Pseudo R2	=	0.0727

DEPVARPATSALLIANCE	Odds Ratio	Std. Err.	z	P> z	[95% Conf. Interval]	
USPROPAGREE	3.180005	1.762615	2.09	0.037	1.073058	9.423936
WRONGDIRECTION	1.296102	.5509881	0.61	0.542	.5633567	2.981912
UNEMPL	1.537191	.7061342	0.94	0.349	.6247618	3.782173
CULTRLHERITAGE	.4928006	.3753957	-0.93	0.353	.1107287	2.19322
PROTESTVOTE	1.653954	.8125931	1.02	0.306	.6314301	4.332331
JOINNATOBAD	2.805088	1.159049	2.50	0.013	1.248056	6.304622
_cons	.0065392	.0043336	-7.59	0.000	.0017841	.0239675

ანალიზი III-ს მოდელი 2-ის მონაცემები მიაჩნებინებს იმაზე, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვან დამოუკიდებელ ცვლადად შეგვიძლია მხოლოდ საქართველოში აშშ-ს პროპაგანდის გავრცელება და საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხები განვიხილოთ. ანალიზი ცხადყოფს, რომ ის ამომრჩეველები, რომელთაც სწამთ საქართველოში ამერიკული პროპაგანდის არსებობის, ასევე ისინი, ვინც არ უჭერენ მხარს ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას, სამჯერ უფრო დიდი ალბათობით მხარს პატრიოტთა ალიანსს დაუჭერენ.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

**დოკუმენტის ციტირების წესი:**

ადრიანა სტეფანი. *„ულტრამემარჯვენე პოპულისტური მოძრაობები: ახალი გამოწვევა საქართველოსთვის“*. პოლიტიკის დოკუმენტი #5, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2018.

© Georgian Institute of Politics, 2018

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

[www.gip.ge](http://www.gip.ge)